



# თბილისის სამედიცინო აკადემიის

## სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2028

2021 წლის აგვისტო  
საქართველო

# სარჩევი

აკრონიმები და შემოკლებები.....	3
შესავალი.....	5
ნაწილი 1. თსა-ში არსებული სიტუაციის მიმოხილვა.....	8
1.1. ისტორია და ძირითადი მიღწევები.....	8
1.2. დარჩენილი გამოწვევები და პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები .....	15
ნაწილი 2. 2021-2028 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა.....	23
2.1. პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები .....	23
2.2. 2021-2028 სტრატეგიული განვითარების გეგმის შედეგების ჩარჩო.....	67
2.3. 2021-2028 SDP-ის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.....	89
აკრონიმები და აბრევიატურები .....	91

## აკრონიმები და შემოკლებები

თსა	თბილისის სამედიცინო აკადემია
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
პჯდ	პირველადი ჯანდაცვა
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ADMIN	თსა-ს ადმინისტრაცია
AMEE	ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია
BA	მრჩეველთა საბჭო
BAU	ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CanMEDS	კანადის ექიმთა და ქირურგთა სამეფო კოლეჯის მიერ მიღებული მედიკოსთა კომპეტენციების ჩარჩო
CBO(s)	საზოგადოებრივი ორგანიზაცი(ებ)ი
CC	კურიკულუმის კომიტეტი
CIMED	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ინოვაციების დეპარტამენტი (CIMED)
CPDHRD	უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
CSL	კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი
CSR	ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობა
DCCS	საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სამსახური
DSPM	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
DOSM	მედიცინის სკოლის დეკანატი
DOSPH	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დეკანატი
DoL	შრომის გადანაწილება
ESG	ევროპული სივრცის 2015 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები
EC	საგამოცდო ცენტრი
EU	ევროკავშირი
FD	საფინანსო სამსახური
GEMx	გლობალური განათლების გაცვლითი პროგრამა მედიცინასა და ჯანდაცვის პროფესიებში
GIPA	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
IAD	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
IFMSA	მედიკოს-სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია
IRC(s)	სტუდენტთა საგრანტო აპლიკაციების დამოუკიდებელი კომისიები
ITD	ინფორმაციული-ტექნოლოგიების სამსახური
JD(s)	სამუშაოს აღწერილობა/ები
KPIs(s)	შესრულების ძირითადი ინდიკატორ(ებ)ი
LAB	ლაბორატორია
LD	იურიდიული სამსახური
LIB	ბიბლიოთეკა
MD	დიპლომირებული მედიკოსი
MPH	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
NCEQE	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

<b>OSLD</b>	შრომის უსაფრთხოებისა და ლოჯისტიკის სამსახური
<b>OSCE</b>	ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა
<b>PhD</b>	ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დოქტორის აკადემიური ხარისხი
<b>QA</b>	ხარისხის უზრუნველყოფა
<b>QAD</b>	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
<b>QI</b>	ხარისხის გაუმჯობესება
<b>SA</b>	სტუდენტური აკადემია
<b>SAFEMED+</b>	სიმულაცია დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პაციენტთა მართვის უსაფრთხოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის
<b>SDP</b>	სტრატეგიული განვითარების გეგმა
<b>SI(s)</b>	ქვე-ინდიკატორ(ებ)ი
<b>SOPs</b>	სტანდარტული საოპერაციო პროცედურები
<b>SRPHDD</b>	სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი
<b>SPMD</b>	სოციალური პროექტების მართვის სამსახური
<b>TBL</b>	გუნდური სწავლების მეთოდი
<b>TLA(s)</b>	სწავლა-სწავლება და შეფასება
<b>VR</b>	ვირტუალური რეალობა
<b>WFME</b>	სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტრატეგიული განვითარების ხედვას 7 აკადემიური წლის - 2021 წლის სექტემბრიდან 2028 წლის აგვისტომდე - პერიოდისათვის.

2018 წელს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე (ESG 2015) დაყრდნობით, თსა-მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან (NCEQE) მიიღო 7-წლიანი ავტორიზაცია. მოგვიანებით, 2020 წელს, უნივერსიტეტმა ასევე მიიღო NCEQE-გან დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და აღიარება უმაღლესი განათლების ეროვნული სტანდარტების, მედიცინაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სამედიცინო განათლების ბაზისური სტანდარტების (BME) შესაბამისად.

მრავალწლიანი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში წარმატების მიუხედავად, თსა-მ გადაწყვიტა საკუთარი საქმიანობის შეფასება და 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა, რათა გრძელვადიანი, შედეგებზე-ორიენტირებული ხედვით უფრო დროულად შეასრულოს საკუთარი ინსტიტუციური მისია და მკაფიოდ წარმოჩინდეს უმაღლესი განათლებისა და კვლევით სფეროებში ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე მოქმედ პარტნიორებს შორის.

თსა ასევე გეგმავს სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვას 2024 წლის შუაში, რათა შეაფასოს საკუთარი მიღწევები და ეფექტური გზით დააჩქაროს 2028 წლის ხედვისკენ განვითარება.

## სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2028 შემუშავებული იქნა ინკლუზიური კონსულტაციების შედეგად, თსა-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია არის დოკუმენტი რომელიც აღწერს პროცესს და ითვალისწინებს:

- 2020 წელს NCEQE-მიერ თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დროს გაცემულ რეკომენდაციებს, რჩევებს, ეროვნულ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და რეკომენდაციებს;
- ფოკუს ჯგუფების შედეგებს;
- თსა-ს მიღწევების ანალიზს, არსებული გამოწვევებისა და რეკომენდებული ქმედების სინთეზს;
- სამაგიდო მიმოხილვებს, SWOT მიდგომასა და ინტეგრირებული შედეგების ჩარჩოს.

## თსა-ს მისია

2021-2028 წლებისათვის თსა-ს განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის და ინსტიტუციური ხედვის მთავარ საფუძველს უნივერსიტეტის მისია წარმოადგენს.

### თსა-ს მისია

თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

### თსა-ს ხედვა 2028 წლისთვის.

მომდევნო 7 წლის განმავლობაში თსა მიზნად ისახავს გახდეს გლობალურად აღიარებული სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელიც განასახიერებს ქართულ და ევროპულ უმაღლესი განათლების პრინციპებს. თსა-ს ხედვაა წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ინოვაციური კვლევის, მაღალი ხარისხის განათლების, სასარგებლო და მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სოციალური ინიციატივებისა და სამაგალითო ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით. თსა ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას, აკადემიურ წარჩინებულობას და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, ისევე როგორც ჯანმრთელობის მწვავე გამოწვევების გადაჭრას კვლევის მეშვეობით.

### თსა-ს ღირებულებები.

თსა-ს გაზიარებული ღირებულებებია: ინსტიტუციური მთლიანობა, ნდობა და პატივისცემა; კვლევა და აკადემიური წარჩინებულობა; ინოვაცია და კრეატიულობა; ეთიკა და აკადემიური მთლიანობა, გამოხატვის თავისუფლება, სოციალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე; მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ხელშეწყობა.

### SDP სტრუქტურა

წინამდებარე დოკუმენტი 2 ძირითადი ნაწილისაგან შედგება.

1-ლი ნაწილი გთავაზობთ თსა-ში არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვას, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ ბოლო 3 ათწლეულის მანძილზე განვლილ გზასა და მიღწევებს, დღეს არსებული მდგომარეობისა და ძირითადი გამოწვევების ანალიზს, ასევე იმ პრიორიტეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს თსა-ს მისიის, ინსტიტუციური განვითარების მიზნების, სწავლა-სწავლების, კვლევითი თუ

ინსტიტუციური კულტურის მიმართულებებით კონკრეტული ამოცანების მისაღწევად.

**დოკუმენტის მე-2 ნაწილი** წარმოადგენს შემდეგი 7 აკადემიური წლისათვის თსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმას (ნაწილი 2.1). SDP ეფუძნება იმ გამოწვევების ანალიზსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც განისაზღვრა დოკუმენტის 1-ელ ნაწილში და წარმოადგენს თსა-ს დეტალურ ხედვას, თუ როგორ უნდა შეასრულოს უნივერსიტეტმა ინსტიტუციური მისია და კიდევ უფრო გააუმჯობესოს საკუთარი შედეგები სტუდენტზე-ორიენტირებული გარემოს, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უმაღლესი ხარისხისა და ინსტიტუციური კულტურის მიზნების მისაღწევად.

დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს 2021-2028 SDP-ის შედეგების ინტეგრირებული ჩარჩო (ნაწილი 2.2). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (უსდ) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) კომპლექსური სისტემის გათვალისწინებით, თსა-ს 2021-2028 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმისათვის შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPIs) და ქვე-ინდიკატორები (SIs) შეთანხმდა საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ადგილობრივად შემუშავებული ინდიკატორების საფუძველზე, რომელიც თსა-ს კონკრეტულ კონტექსტსა და M&E საჭიროებებს ითვალისწინებს.

შედეგების ინტეგრირებულ ჩარჩოს მოსდევს მონიტორინგისა და შეფასების (M&E) დეტალური გეგმა (ნაწილი 2.3), რომელიც წარმოადგენს 2021-2028 წწ. SDP-ის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გზაზე პროგრესის შეფასების ძირითად ინსტრუმენტებს და განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებელ მხარეებს.

# ნაწილი 1. თსა-ში არსებული სიტუაციის მიმოხილვა

## 1.1. ისტორია და ძირითადი მიღწევები

### ინსტიტუციური ზრდა

თსა საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი პირველი კერძო სამედიცინო უნივერსიტეტია, რომელიც დაარსდა 1992 წელს. დაფუძნებიდან დღემდე თსა-ს **2500-მდე კურსდამთავრებული მედიკოსი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი** პროფესიულ საქმიანობას ეწევიან კლინიკურ მედიცინაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა თუ სამეცნიერო კვლევითი მიმართულებებით როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის (EU) და სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონის ქვეყნების წამყვან დაწესებულებებში.

უკანასკნელი 3 ათწლეულის მანძილზე თსა მნიშვნელოვნად განვითარდა და ჩამოყალიბდა ფინანსურად და ოპერატიულად დამოუკიდებელ უნივერსიტეტად, რომელშიც მუდმივად მზარდია ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების რიცხვი, ინერგება სწავლებისა და კვლევის უახლესი მეთოდები და ფართოვდება საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით პარტნიორული ურთიერთობები საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებით.

2021 წლის ივნისის მდგომარეობით:

- თსა-ს სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებზე, დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციის მისაღებად **853 სტუდენტი** ირიცხებოდა, მათ შორის 302 ქართველი და 551 უცხოელი სტუდენტი.
- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები თსა-ში ისწავლება როგორც ქართულ ენაზე ადგილობრივი სტუდენტებისათვის, ისე ინგლისურ ენაზე ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის.
- 157 აკადემიური პერსონალითა და მოწვეული ლექტორით თსა უზრუნველყოფს მუდმივად მზარდი ხარისხის სამედიცინო განათლებას, სწავლა-სწავლების, შეფასებისა და კვლევით პროცესებში **ფართო სპექტრის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით.**

პარალელურად, თსა-მ მნიშვნელოვნად გააფართოვა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, მათ შორის:

- ახალი ბიბლიოთეკის შექმნით;
- თანამედროვე ბიო-სამედიცინო ლაბორატორიით;
- კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრით;
- საკონფერენციო და სასწავლო პროცესებისათვის ახალი სივრცეების შექმნით.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების** განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების საპასუხოდ, თსა უზრუნველყოფს შესაბამის ადაპტირებულ გარემოს.

2021 წლიდან, უნივერსიტეტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს **1300-მდე სტუდენტი**,

გააფართოვოს საგანმანათლებლო პროგრამები მაგისტრისა (MPH) და დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხების მისანიჭებლად და განახორციელოს კომპლექსური, ინტერდისციპლინარული და ბიო-სამედიცინო კვლევები როგორც კლინიკურ მედიცინაში, ისე საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

### ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარება

2018 წელს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე (ESG 2015) დაყრდნობით, თსა-მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან (NCEQE) 7-წლიანი ავტორიზაცია მიიღო.

2020 წელს, თსა-მ ასევე მიიღო დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და აღიარება NCEQE-გან სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების შესაბამისად.

თსა ირიცხება უმაღლესი განათლების ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში და განახორციელებს WFME-ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული ორი ნაბიჯი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის თსა-ს, როგორც სანდო საგანმანათლებლო დაწესებულების, დასამკვიდრებლად.

### თსა-ს საუკეთესო პრაქტიკის აღიარება

2020 წელს NCEQE/WFME-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თსა-ს პრაქტიკა საუკეთესოდ იქნა აღიარებული ორი მიმართულებით:

1. თსა-ს “რეალური პაციენტების კონცეფცია” აკრედიტაციის პროცესში ჩართულმა ექსპერტებმა აღიარეს პირველ „საუკეთესო პრაქტიკად“, რომლის ფარგლებშიც ანაზღაურებადი პაციენტების მოწვევით, თსა-ს სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული გამოცდილების გაუმჯობესების შესაძლებლობა პაციენტებთან კომუნიკაციისა და ფიზიკალური გასინჯვის უნარ-ჩვევებში.
2. ინიციატივა, რომელიც „საუკეთესო პრაქტიკად“ იქნა აღიარებული მოიცავს თსა-ს მხრიდან რეზიდენტურის პროგრამების დაწყებამდე კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას პარტნიორ კლინიკებში მათი სახელფასო ანაზღაურების თანა-დაფინანსებით.

### თსა-ს მიმართ მზარდი ინტერესი

ბოლო 5 წლის მანძილზე თსა-ს მიმართ აპლიკანტთა ინტერესი არსებითად გაიზარდა, როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. მაგალითისათვის, 2019-2020 წწ. საქართველოდან მიღებული სტუდენტების 46%-მა სასურველ უნივერსიტეტებს შორის თსა მიუთითა პირველ არჩევანად, მაშინ როდესაც 2015-2016 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 9.8%-ს შეადგენდა. ამავე პერიოდში, თსა-ში ჩარიცხული უცხოელი პირველკურსელების რაოდენობა 6-ჯერ გაიზარდა - წლიურად 19-დან 120-მდე.

2020 წლის ივნისის მონაცემებით, საქართველოში სამედიცინო განათლების პროგრამების მქონე 32 უნივერსიტეტს შორის, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით თსა მე-5 პოზიციას იკავებდა. ამავდროულად, იზრდება აპლიკანტთა აკადემიური მზადყოფნა. კერძოდ, 2019-2020 სასწავლო წელს თსა-ში ჩარიცხული სტუდენტების 29.8%-მა მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება (სახელმწიფო გრანტი) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული მაღალი შეფასებების შედეგად.

### აკადემიურ პროცესში ჩართული კადრების კვალიფიკაცია

თსა-ში 2021 წლის მონაცემებით, 157 ლექტორია ჩართული მედიცინის მიმართულებით, მათ შორის 53 აკადემიური პერსონალი და 104 მოწვეული ლექტორი. ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა 1:5.4 (157/853) შეადგენს. ამასთანავე, აკადემიური პერსონალის 77%-ს მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი (PhD). და ბოლოს, აკადემიური პერსონალის 82% აფილირებულია მხოლოდ თსა-თან.

ინსტიტუციური მისიის გათვალისწინებით, თსა პრიორიტეტს ანიჭებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლექტორების მოზიდვასა და შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა დანერგა პედაგოგთა საქმიანობის რეგულარული შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული მონიტორინგის ინსტრუმენტებს და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს.

გარდა ამისა, თსა-მ მაღალკვალიფიციური აკადემიურ პროცესში ჩართული კადრებისთვის დანერგა ფინანსური და აკადემიური წახალისების სისტემა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ფინანსური პრემიები/ბონუსები და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფრო მეტი შესაძლებლობები.

### ინოვაციები სწავლა-სწავლების პროცესში

თსა, როგორც სტუდენტზე-ორიენტირებული უნივერსიტეტი, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მუდმივად ნერგავს სწავლა-სწავლების უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებს. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული თსა-ში არსებული, სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ უკუკავშირის მექანიზმებში, სასწავლო მეთოდების კრიტიკულ შეფასებაში და შესაძლებლობა აქვთ სწავლების ახალი მიდგომებისა თუ ინსტრუმენტების დასანერგად გააკეთონ შეთავაზებები. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი აჯამებს სწავლების ყველა იმ ახალ მეთოდს, რომელიც უკვე დანერგილია თსა-ში.

## თსა-ში დანერგილი სწავლების მეთოდები

ვირტუალური რეალობა (VR)

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)

ობიექტური სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)

ლაბორატორიული მუშაობა ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის მიმართულებებით („კეთებით სწავლება“)

Anatome მაგიდა

გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება (TBL)

ადრეული კლინიკური ექსპოზიცია (ECE)

კლინიკური შემთხვევის მიმოხილვა (Case Review)

პორტფოლიო (Portfolio)

## თანამშრომლობის გაფართოება საუკეთესო ხარისხის სწავლებისათვის

2020 წელს, ERASMUS+ SAFEMED+ გრანტის წარმატებულად მოპოვების შედეგად, თსა გახდა პროექტის წამყვანი უნივერსიტეტი. აღნიშნული გრანტი მოიცავს დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში სიმულაციური მეთოდების დანერგვას პაციენტთა მართვის უსაფრთხოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თსა როგორც SAFEMED+ პროექტში წამყვანი უნივერსიტეტი, მუშაობს ესპანეთის, იტალიის, ლიეტუვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის 8 სამედიცინო უნივერსიტეტთან სამედიცინო კურიკულუმებში კლინიკური მოვლის 3 ძირითადი მიმართულებით (პრაქტიკული პროცედურები, ფიზიკური გამოკვლევა და კომუნიკაცია) კლინიკური ხაზის კონცეფციის დასანერგად.

ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტთან (საქართველო) და სოფიის უნივერსიტეტთან (ბულგარეთი) პარტნიორობით თსა ასევე მონაწილეობს Erasmus+ SPRING პროექტში, რომლის ფარგლებშიც პარტნიორი უნივერსიტეტები ახორციელებენ საგანმანათლებლო და ინსტიტუციური პროცესების მართვის ურთიერთ-შეფასებებს. აღნიშნული ინიციატივა აერთიანებს 7 ქვეყნის (ბელორუსის, ბულგარეთის, ლიეტუვის, მოლდოვის, საქართველოს, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის) 14 უნივერსიტეტს.

გარდა ამისა, თსა გეგმავს ინვესტირებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლებაში და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) თანამშრომლობით 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დაწყებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოგიდგენთ საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედ 11 უნივერსიტეტს, რომელთანაც, 2021 წლის მონაცემებით, თსა თანამშრომლობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინოვაციების მიმართულებით.

## **თსა-ს პარტნიორი უნივერსიტეტები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინოვაციების მიმართულებებით**

სოფიის უნივერსიტეტი (ბულგარეთი)  
სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)  
კატანიის უნივერსიტეტი (იტალია)  
ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)  
ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი (საქართველო)  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (საქართველო)  
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (საქართველო)  
ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (სომხეთი)  
ერევნის ჰაიბუსაკის უნივერსიტეტი (სომხეთი)  
ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (უკრაინა)  
ივანე ჰორბაჩევსკის სახ. ტერნოპოლის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი (უკრაინა).

## **სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებით**

საერთო ჯამში, სტუდენტები გამოხატავენ კმაყოფილების მაღალ დონეს

1. თსა-ში მიღებულ აკადემიურ გამოცდილებასთან დაკავშირებით.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან უკუკავშირის არსებულ მექანიზმებთან დაკავშირებით.

სტუდენტთა უმრავლესობა, დადებითად აფასებს თბილისის სამედიცინო აკადემიაში სწავლების ხარისხს, ლექტორთა კვალიფიკაციასა და თსა-ს ადმინისტრაციის სტუდენტზე-ორიენტირებულ მიდგომას. თუმცა, აკადემია საჭიროდ თვლის კმაყოფილების კვლევებში სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობის უზრუნველყოფას, რათა გაიზარდოს კვლევის შედეგების ვალიდობა და სანდოობა.

## **სასწავლო და კვლევითი რესურსების ფართო ხელმისაწვდომობა**

წლების განმავლობაში თსა-მ მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო ბაზა შექმნა სტუდენტების, პედაგოგებისა და მკვლევარებისათვის. კერძოდ, უნივერსიტეტმა გააფართოვა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა და წიგნადი ფონდი, რომელიც დღეისათვის 5085 სახელმძღვანელოს მოიცავს. გარდა ამისა, თსა უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შეუზღუდავ, უფასო წვდომას სახელმძღვანელოებზე, სასწავლო პლატფორმებზე (AMBOSS, Complete Anatomy), აკადემიური კეთილსინდისიერების/პლაგიატის მართვის პროგრამებზე (Turnitin), ელექტრონულ წიგნებსა (ClinicalKey Student) და სამეცნიერო ჟურნალებზე Hinari, Web of Science MEDLINE და Elsevier-ის (ScienceDirect და Scopus) ბაზების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ Elsevier-თან თსა-ს თავდაპირველი ხელშეკრულების გაფორმებას ხელი შეუწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

## **ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა**

ინტერნაციონალიზაციის ხედვის შესაბამისად, თსა-მ წარმატებით დაამყარა თანამშრომლობითი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნების 6 უნივერსიტეტთან. 2021 წლის ივნისის მონაცემებით, უნივერსიტეტის 86 სტუდენტს, ფაკულტეტის 7 წევრსა და ადმინისტრაციის 5 თანამშრომელს უკვე ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული Erasmus+ თუ სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობითი ინიციატივების ფარგლებში განხორციელებულ გაცვლით პროგრამებში.

**თსა-ს პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციები სტუდენტებისა და თანამშრომლების გაცვლით პროგრამებში**

ანტვერპენის უნივერსიტეტი (ბელგია)  
სოფიის უნივერსიტეტი (ბულგარეთი)  
ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)  
გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)  
სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)  
ალტინზასის უნივერსიტეტი (თურქეთი)  
ბარი ალდო მოროს უნივერსიტეტი (იტალია)  
ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)  
კლაიპედას უნივერსიტეტი (ლიეტუვა)  
ერასმუსის უნივერსიტეტის როტერდამის სამედიცინო ცენტრი (ნიდერლანდები)  
რადბაუდის ნიმეგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)  
ბილისტოკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)  
ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი)  
კოზიცეს პავოლ იოზეფ საფარიკის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)  
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

გარდა ამისა, თსა თანამშრომლობს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციასთან (IFMSA) ევროპის ქვეყნებსა და თურქეთში სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მიმართულებით. მედიცინასა და ჯანდაცვის პროფესიებში გლობალური განათლების გაცვლით პროგრამასთან (GEMx) პარტნიორობით, თსა ასევე სთავაზობს სტუდენტებს გაცვლით შესაძლებლობებს აზიის, ევროპის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. დაბოლოს, უნივერსიტეტი AMOpportunities-თან პარტნიორობით უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მოკლევადიანი კლინიკური გამოცდილების შესაძლებლობებს ამერიკის შეერთებული შტატების საავადმყოფოებსა და ამბულატორიულ კლინიკებში.

**ძლიერი კვლევითი შესაძლებლობებისკენ სწრაფვა**

ბიო-სამედიცინო კვლევითი ლაბორატორიული შესაძლებლობების გაზრდის პარალელურად თსა-მ დაიწყო ერთობლივი კვლევითი ინიციატივები საქართველოსა და გერმანიაში მოქმედ 4 უნივერსიტეტთან. თსა-ს უკვე მიღებული აქვს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) სამეცნიერო-კვლევითი გრანტები როგორც დამოუკიდებლად თსა-ს ბაზაზე მიმდინარე კვლევებისთვის, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ერთობლივი თანამშრომლობითი პროექტებისათვის.

2021 წლის მდგომარეობით თსა-მ საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და საბაზისო მეცნიერებებში უკვე დაასრულა ან ახორციელებს **12 კვლევით პროექტს**, მათ შორის შიდა გრანტების მეშვეობით. ამასთანავე, თსა-მ დაიწყო კვლევითი პროექტი, რომლითაც უნივერსიტეტი **წვლილს შეიტანს COVID-19 პანდემიაზე** საპასუხოდ გლობალური ცოდნის გენერირებაში.

მომდევნო 7 წლის განმავლობაში, თსა მიზნად ისახავს კვლევით პროექტებში ფინანსური ინვესტირების თანდათანობით გაზრდას, სადოქტორო პროგრამის დანერგვასთან ერთად.

**თსა-ს პარტნიორი ინსტიტუტები კვლევითი მიმართულებით**

ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (საქართველო)  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

**თსა-ს ინსტიტუციური სოციალურ პასუხისმგებლობის (CSR) ღონისძიებები საქართველოს მოსახლეობის საჭიროებების საპასუხოდ**

თსა აქტიურად არის ჩართული ინსტიტუციური **სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ინიციატივებში**, რომლებიც პასუხობს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს. კერძოდ, უნივერსიტეტი სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით მონაწილეობდა სისხლის უანგარო დონაციის ხელშეწყობის, COVID-19 პანდემიაზე ცნობიერების ამაღლების, კიბოს სკრინინგის პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობის პოპულარიზაციის, გარემოს დაცვის ინიციატივებსა და მოხუცთა თავშესაფრებში ვიზიტების ორგანიზებაში.

## 1.2. დარჩენილი გამოწვევები და პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები

უნივერსიტეტში უკვე მიღწეული შთამბეჭდავი, ხელშესახები შედეგების მიუხედავად, თსა-ს მიზანია, მისი მთავარი ინსტიტუციური მისიის მიღწევისკენ პროგრესის კიდევ უფრო დაჩქარება კრიტიკული თვითშეფასების, კვლევებზე დაფუძნებული უახლესი მტკიცებულებების გამოყენებით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლითა და გათვალისწინებით. ინსტიტუციური განვითარების გამოწვევების დასაადგენად, თსა ეყრდნობა მუშაობის წლიურ ანგარიშებს, შიდა და ძირითად გარე აუდიტებს, ასევე პერსონალისა და სტუდენტების გამოხმაურებას. ჩატარებული გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები და შედეგების ანალიზი წარმოადგენს თსა-სთვის თვითშეფასების პროცესისა და დარჩენილი გამოწვევების იდენტიფიკაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს. აქცენტი კეთდება ამ გამოწვევების გადაჭრაზე სტრატეგიული ქმედებებით, რომლებიც შეესაბამება ავტორიზაციის/აკრედიტაციის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

თსა-ს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ და კვლევით წარჩინებულობას და მნიშვნელოვან გავლენის მქონე სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტრატეგიას, მომავლის ხედვა, დაფუძნებულია 6 მთავარ და 3 თანმხვედრ გამოწვევებსა და შესაბამის პრიორიტეტულ ქმედებებზე მათ დასაძლევად.

მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები	თანმხვედრი გამოწვევები და პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები
<ul style="list-style-type: none"> <li>● აკადემიურ, კვლევით და სოციალურ ინიციატივებში სტუდენტთა მეტი ჩართულობის საჭიროება</li> <li>● ადამიანური რესურსების შემდგომი განვითარების აუცილებლობა</li> <li>● საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობისა და ხარისხის შემდგომი გაძლიერება</li> <li>● კვლევითი კომპონენტის არსებითი განვითარება</li> <li>● თსა-ს ინსტიტუციური კულტურის უფრო ძლიერად პოზიციონირება</li> <li>● თსა-ს მდგრადობისა და ინსტიტუციური ზრდის გაძლიერება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>● სწავლებისა და ადმინისტრირების ციფრული ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება</li> <li>● საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პარტნიორთა ჩართულობის გაძლიერება</li> <li>● ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება სწავლების, კვლევისა და CSR საქმიანობის მიმართულებებით</li> </ul>

## 1. აკადემიურ, კვლევით და სოციალურ ინიციატივებში სტუდენტთა მეტი ჩართულობის საჭიროება

შეფასების პროცესის დროს გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები:

- თანასწორთა განათლების ე.წ. ტუტორების პროგრამის ამოქმედება თსა-ში
- უცხოელი სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების მეტი შესაძლებლობები
- სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა გამოთქვამს კვლევით პროექტებში ჩართვის დიდ ინტერესს. თუმცა, კვლევითი პროექტების შესაძლებლობები შეზღუდულია და დღეისათვის სტუდენტთა მხოლოდ 1.8%-ია ჩართული. თსა-მ უნდა გააძლიეროს მუშაობა ახალ ინიციატივებზე (მათ შორის შიდა გრანტების მეშვეობით) და უზრუნველყოს ქართველი და უცხოელი სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე, ისე სხვა ინსტიტუტებთან ერთად მიმდინარე ინტერ-დისციპლინარულ და ბიო-სამედიცინო კვლევებში.
- ექსტრა-კურიკულურ სოციალურ, კულტურულ ღონისძიებებსა და ტრენინგებში სტუდენტების მეტი ჩართულობა (მაგ. კომუნიკაციების, ხელოვნებისა და თერაპიის მიმართულებებით).
- სტუდენტური აკადემია სრულად ვერ პასუხობს სტუდენტების არსებულ საჭიროებებს და ინტერესებს. სტუდენტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, თსა-მ უნდა შეუწყოს ხელი სტუდენტთა აკადემიის ფუნქციონირებას მინიმალური სამდივნოთი, ორ წლიანი ხელმძღვანელობის მონაცვლეობით და დააწესოს თანაბარი შესაძლებლობები სტუდენტთა ინიციატივებისთვის და მცირე გრანტებისთვის, მიუხედავად მათი წევრობისა სტუდენტურ აკადემიაში.
- საერთაშორისო სტუდენტების ადგილობრივ საზოგადოებაში მეტად ინტეგრირება:
  1. ქართული ენის შემსწავლელი კურსები დანერგილია ექსტრაკურიკულურად და საჭიროებს გაძლიერებას;
  2. უცხოელი სტუდენტების ქართველ თანატოლებთან ინტერაქცია შედარებით ლიმიტირებულია, რაც მოითხოვს აკადემიური კურსების, სოციალური და კულტურული ღონისძიებების მეტად ინტეგრირებას;
  3. 2020 წლის თსა-ს პროგრამების აკრედიტაციის პროცესში NCEQE/WFME-ის მხრიდან რეკომენდირებული იქნა ქართული ენის შემსწავლელი კურსების გაძლიერება საერთაშორისო სტუდენტებისთვის.
- XI და XII სემესტრის სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებით გამოვლინდა სტუდენტების ინტერესი, რომ სწავლის დასრულების შემდეგაც იყვნენ აქტიურად ჩართულნი თსა-ს საქმიანობაში. შესაბამისად, თსა-მ უნდა უზრუნველყოს როგორც მიმდინარე კომუნიკაციის გაძლიერება, ისე კურსდამთავრებულთა უწყვეტი ჩართულობა სხვადასხვა ინიციატივებში.

## 2. ადამიანური რესურსების შემდგომი განვითარების აუცილებლობა

თსა-ს მისია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს **მაღალკვალიფიციური და გამოცდილი გუნდის ფორმირებაზე**, რომელიც იზიარებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, სწავლებისა და კვლევითი მიმართულებებით მის ხედვას, უნივერსიტეტის ინსტიტუციურ კულტურას და კმაყოფილებას გამოთქვამს **სამუშაო პირობებსა და გარემოზე**. თსა-მ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას კვალიფიციური კადრების მოზიდვის/რეკრუტირების პროცესში, თუმცა კვლავაც დგას შემდეგი გამოწვევების წინაშე რაც გულისხმობს თსა-ს 2020 წლის პროგრამების აკრედიტაციის პროცესში **NCEQE/WFME გაცემულ ძირითად რეკომენდაციებს**:

- აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების კონტრაქტები, რომლებიც აგებულია მოვალეობების სპეციფიურ და არა ზოგად აღწერაზე;
- აკადემიური პერსონალის პროფილების ყოველწლიური განახლება პროფესიული საქმიანობის შეფასებაზე დაყრდნობით.

ძირითადი აღმოჩენები:

- უნივერსიტეტმა კიდევ უფრო უნდა გაზარდოს მასთან სრულად აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი. 2021 წლის მონაცემებით, აკადემიური პერსონალის 82% აფილირებულია მხოლოდ თსა-თან. კონკურენტუნარიანი ანაზღაურების სქემებისა და პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზება ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზაა.
- თსა-მ, მისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უნდა შესთავაზოს პროფესიული ზრდის შესაძლებლობები მის ლექტორებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლექტორებს, რომელთა საქმიანობა დადებითად არის შეფასებული. თსა-ს აკადემიური პერსონალის 77%-ს მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი, რაც უკვე დადებითი მაჩვენებელია. თუმცა, მოწვეული ლექტორების მხოლოდ 13%-ს აქვს მინიჭებული უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ხარისხი.
- უკვე არსებული პედაგოგთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული მონიტორინგის ინსტრუმენტებს და სტუდენტების კმაყოფილების კვლევებს მოითხოვს შემდგომ დახვეწას უფრო მეტი სანდოობისა და ეფექტურობისათვის.
- კვალიფიციური პერსონალის შერჩევისა და შენარჩუნების პროცესში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, თსა-მ გამოცდილი პედაგოგიური და ადმინისტრაციული პროფესიონალების ასაყვანად უნდა გაამლიეროს საკადრო რესურსების მართვის სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და მათი გამჭვირვალობა.
- თსა-ს მიერ დანერგილი ფინანსური წახალისების/ბონუს-სისტემა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში დადებითი ნაბიჯი აღმოჩნდა. უნივერსიტეტმა დამატებითი ფინანსური და არაფინანსური მოტივაციის მექანიზმები უნდა შეიმუშაოს გუნდში კვალიფიციური წევრების შენარჩუნებისა და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის.
- 2021 წლის მონაცემებით, თსა-ს ლექტორთა 30%-ს და ადმინისტრაციის თანამშრომელთა 13%-ს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, მათ შორის AMEE, WFME და სხვა გლობალურ

პარტნიორთა მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში. თსა-მ უნდა განახორციელოს მეტი გაცვლითი პროგრამა ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, როგორც თანამშრომელთა პროფესიული განვითარების წახალისების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

- 2021-2028 სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე თსა-მ უნდა განაახლოს ინსტიტუციური სტრუქტურა (ორგანოგრამა), დეპარტამენტებს შორის სამუშაოს განაწილების პრინციპები (Divison of Labour) და ინდივიდუალურ თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები (JDs).
- პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების პარალელურად, სტუდენტზე-ორიენტირებული გარემოს გაძლიერებისთვის, თსა მნიშვნელოვნად მიიჩნევს თანამშრომლებში ინტერ-პერსონალური, კომუნიკაციისა და სხვა ე.წ. „რბილი უნარ-ჩვევების“ გაძლიერებას.

### **3. საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობისა და ხარისხის შემდგომი გაძლიერება**

თსა, როგორც სტუდენტზე-ორიენტირებული სამედიცინო უნივერსიტეტი მუდმივ ინვესტირებას ახდენს აკადემიურ ინოვაციებში, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებში სწავლის შედეგების მიღწევას (განსაკუთრებით კლინიკურ მეცნიერებებში) და ექიმის პროფესიული კომპეტენციების განვითარებას CanMEDS-ის ჩარჩოს შესაბამისად.

NCEQE/WFME აკრედიტაციის პროცესის რეკომენდაციებში მითითებულია:

- კლინიკური სწავლების ხარისხის გაძლიერების აუცილებლობა მისი თანამშრომელი აფილირებულს სასწავლო საავადმყოფოებში;
- კლინიკური სწავლების გამოცდილების გაუმჯობესება სტუდენტებისთვის შესაბამისი რაოდენობის პაციენტებით
- კლინიკურ დაწესებულებებში ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდის საჭიროება სწავლებისა და შეფასების პროცესების უფრო ძლიერი მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

**შეფასების პროცესმა ხაზი გაუსვა შემდეგ გამოწვევებს:**

- პაციენტის საწოლთან სწავლებისა და კლინიკური პრაქტიკის შესაძლებლობების შემდგომი გაზრდის აუცილებლობა (განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის ფონზე) და უფრო კლინიკური უნარ-ჩვევების ინტენსიური გამომუშავება კლინიკური მიმოხილვების, კლინიკური მსჯელობისა და პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით თსა-ს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში (CSC)
- კლინიკურ დისციპლინებში (საფეხური II) სწავლა-სწავლების და შეფასების (TLAs) ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება
- ქვეყანაში ჯანდაცვის პროვადერებთან ახალი და ფართო სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების აუცილებლობა, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს სწავლება შესაბამის კლინიკურ გარემოში, კვალიფიციური პერსონალის შესაბამისი რაოდენობით და უზრუნველყოს პაციენტის საწოლთან სწავლების

არსებითი გაუმჯობესება.

- უნივერსიტეტის საბოლოო მიზანია საკუთარი ამბულატორიული კლინიკის ამოქმედება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტებისათვის კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებს.
- თსა-ს ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ინგლისური ენის ცოდნა კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, რათა უზრუნველყოს უახლესი სამეცნიერო და კლინიკური ცოდნის ხელმისაწვდომობა და გამოყენება სწავლა სწავლების პროცესებში.
- თსა-მ როგორც სწავლების უმაღლეს ხარისხზე ორიენტირებულმა ინსტიტუციამ, უნდა უზრუნველყოს **სწავლა-სწავლების და შეფასების (TLAs) მეთოდების უწყვეტი გადახედვა** უახლეს საერთაშორისო მტკიცებულებებზე, დარგობრივ მახასიათებლებზე, ინოვაციებზე, ლექტორებისა და სტუდენტების კმაყოფილების ყოველწლიურ და სემესტრულ კვლევებზე დაყრდნობით.
- თსა-მ უნდა დანერგოს სწავლა-სწავლების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში **სიღრმისეულ სწავლებას და თვით-ანალიზს/თვით-რეფლექსიას** პროფესიული განვითარებისა და ზრდის მიმართებაში. მაგალითისთვის, 2020-2021 სასწავლო წელს I და II სემესტრებში პორტფოლიოს წარმატებული პილოტირების შემდეგ, თსა-მ უნდა უზრუნველყოს **პორტფოლიოს სრულმასშტაბიანი დანერგვა 6-წლიანი პროგრამის ფარგლებში** და სწავლის შედეგების სრულყოფა კომპეტენციებზე-დაფუძნებული შეფასების მეთოდებით, მათ შორის მიმდინარე და საბოლოო შეფასების პროცესებში.

#### **4. კვლევითი კომპონენტის არსებითი განვითარება**

##### **დაფუძნებულია:**

- მნიშვნელოვან კვლევით ინიციატივებზე, რომლებიც მხარდაჭერილია შიდა გრანტებისა და გარე სამეცნიერო ფონდების მიერ;
- პირველი გრანტების წარმატებულ მობილიზებაზე, რომელიც თსა-მ მოიპოვა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხრიდან;
- NCEQE/WFME 2020 აკრედიტაციის პროცესის რეკომენდაციებზე.

##### **2020-2021 წლები ძირითადი მიგნებები:**

- სწავლებაში ჩართული პერსონალის არასაკმარისი ჩართულობა კვლევით საქმიანობაში
- 6 პუბლიკაცია მოიცავდა თსა-სთან დაკავშირებულ ავტორებს/თანაავტორებს, მათ შორის 5 სტატიას გამოქვეყნებული პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზაში.

თსა ისწრაფვის კვლევითი სრულყოფისაკენ და მოწოდებულია მიაღწიოს გადაწყვეტ გარღვევას უნივერსიტეტის, როგორც სანდო კვლევითი დაწესებულების, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ პოზიციონირებისთვის.

თსა-ს სურს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების და პროფესიული ძალისხმევის ინვესტირება კვლევაში მისი საბაზისო ინდიკატორების გასაუმჯობესებლად.

გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები:

- მუდმივი ინვესტიციის საჭიროება, რათა უზრუნველყოფილი იყოს უახლესი სამეცნიერო და კვლევითი მტკიცებულებების უწყვეტი ინტეგრაცია მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით სწავლების პროცესში.
- უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კვლევით საქმიანობაში ფაკულტეტის წევრებისა და სტუდენტების ჩართულობას ტრენინგებით/საორიენტაციო სესიებით, შიდა საგრანტო პროგრამებითა და ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობითი ინიციატივებით.
- ამ მიზნით, თსა-მ უნდა უზრუნველყოს მკვლევარებისა და დოქტორანტებისათვის „სტრუქტურირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერა“ როგორც დაფინანსების მოზიდვის მიზნით საგრანტო განაცხადების შემუშავების პროცესში, ისე შესაბამისი პროექტების განხორციელების ეტაპზე.
- არსებითად უნდა გაიზარდოს თსა-ს მკვლევართა ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფებთან თანამშრომლობით ინიციატივებში და თსა-თან აფილირებული ავტორების პუბლიკაციების რაოდენობა.
- თსა-მ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბით ახალი თანამშრომლობითი ალიანსების ჩამოყალიბებას ჯანდაცვის სექტორთან, ჯანდაცვის ინდუსტრიასთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, რათა შეიქმნას ცოდნის გადაცემის ჯაჭვი, მათ შორის მრავალპროფილური და გამოყენებითი კვლევების მიმართულებებით.
- და ბოლოს, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს კვლევითი მიმართულებით პრიორიტეტულ სფეროებს, რათა ადამიანური და ფინანსური რესურსების კონცენტრირება მოახდინოს იმ ინიციატივებზე, რომლებიც გაზრდის სტუდენტებისა და ლექტორების ჩართულობას და გააუმჯობესებს თსა-ს ცნობადობას კვლევით ინსტიტუტებს შორის.

**5. თსა-ს ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობის უფრო ძლიერად კოზიციონირება**

როგორც აღინიშნა, თსა უკვე უჭერს მხარს CSR ინიციატივებს საქართველოს მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.

თუმცა, თსა-ს მთელ საზოგადოებას (როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს) სურს, თსა-ს CSR აქტივობებით საზოგადოების განვითარებაში მეტი წვლილის შეტანა.

გამოიკვეთა ინტერესის ძირითადი სფეროები: (1) საზოგადოების ჩართულობა; (2) ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება; (3) გარემოს და პლანეტარული ჯანმრთელობა.

**6. თსა-ს მდგრადობისა და ინსტიტუციური ზრდის გაძლიერება**

თსა-მ მნიშვნელოვნად გააძლიერა სასწავლო, კვლევითი, საბიბლიოთეკო და კლინიკური

## უნარ-ჩვევების ცენტრის ინფრასტრუქტურა.

### გამოვლენილი გამოწვევები:

- ბიბლიოთეკის, ლაბორატორიისა და სიმულაციური სასწავლო ცენტრის რესურსების პერიოდული განახლებისა და გაძლიერების აუცილებლობა მისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
- ამბულატორიული კლინიკის ჩამოყალიბება/მშენებლობა, სრულ განაკვეთზე მომუშავე კლინიკური პერსონალით უპასუხებს ყველა იმ ძირითად ბარიერს, რომელიც რჩება თსა-ში კლინიკური სწავლების ეტაპზე, მათ შორის: (ა) კლინიკურ სასწავლო ბაზებში სწავლების პროცესის უფრო ეფექტური შეფასების აუცილებლობას, და (ბ) თანატოლებთან, პრაქტიკოსებთან და პაციენტებთან უცხოელი სტუდენტების უფრო მეტი ინტერაქციის საჭიროებას.
- მისწრაფება, რომ, თსა-მ გააფართოვოს საგანმანათლებლო პროგრამები სამაგისტრო (MPH) და სადოქტორო (PhD) დონეზე, როგორც სტუდენტების, ისე ახალგაზრდა პედაგოგებისათვის.
- თსა-ს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამებისა და კვლევითი ინიციატივების შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტად გაზრდის საჭიროება.
- უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ქვეყნების დივერსიფიკაციის აუცილებლობა, ევროპაზე ფოკუსირებით 2027-28 წლებისთვის.

## 7. სწავლებისა და ადმინისტრირების ციფრული ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება

COVID-19 პანდემიაზე რეაგირებამ გამოავლინა თსა-ს უნარი, რომ დროულად მოახდინოს ადაპტაცია კრიტიკულ გამოწვევებზე და დაანერგოს სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომები.

- ამ უკანასკნელმა გამოცდილებამ უზიდა თსა-ს ხელმძღვანელობას განეხილა დამოუკიდებელი სამედიცინო განათლების (MD) პროგრამის შექმნა ჰიბრიდული პირისპირ და ონლაინ სწავლებისთვის. ინიციატივა გულისხმობს კონკრეტული პროგრამული აპლიკაციების, ციფრული სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და შესაბამისი რესურსების შემუშავებას და დაანერგვას. ინიციატივა ასევე ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვას სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონიდან.
- იდენტიფიცირებული მთავარი გამოწვევა: უფრო ეფექტური შიდა კომუნიკაცია, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის. ლექციების, გამოცდების, სამეცნიერო თუ სოციალური პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და კომუნიკაციისათვის უფრო ეფექტური, ინტერაქტიული პლატფორმები.

## 8. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პარტნიორთა ჩართულობის გაძლიერება

- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებისა და უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტების მზარდი ინტერესის მიუხედავად, **თსა-ს ხილვადობა მედიაში, მათ შორის სოციალური მედიის პლატფორმებზე შედარებით დაბალია.**
- **თსა-ს აკადემიური და კვლევითი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობა უნდა გაიზარდოს** ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებსა და პარტნიორებს შორის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის შემდგომ ინსტიტუციურ ზრდასა და თანამშრომლობითი ინიციატივების გაფართოვებას.
- განსაკუთრებით უნდა გაიზარდოს თსა-ს შესაძლებლობებისა და აკადემიური კულტურის შესახებ **ცნობადობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის** როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.


### **9. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების სფეროებში**

- თსა-ს მისია და მომავალი ინსტიტუციური ზრდის ხედვა გულისხმობს ხარისხის **უზრუნველყოფისა (QA) და ხარისხის გაუმჯობესების (QI) ინტეგრირებულ მიდგომას** როგორც აკადემიური, ისე კვლევითი საქმიანობის და სოციალური აქტივობების მიმართულებებით.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად თსა-ში უკვე დანერგილია **შიდა და გარე QA/QI ინსტრუმენტები.**
- თუმცა, თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ტრანსფორმაციული გაძლიერება გულისხმობს სწავლა-სწავლების, კვლევისა და CSR-ის საქმიანობის ყველა დონეზე (ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ) ხარისხის გაუმჯობესების **პროსპექტული მიდგომების შემუშავებასა და დანერგვას.**

# ნაწილი 2. 2021-2028 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა

## 2.1. პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები

ინსტიტუციური მისიის, მიღწეული შედეგებისა და დღემდე არსებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, თსა-მ შეიმუშავა **2021-2028 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა (SDP)**, რომელიც **6 ძირითად და 3 გარდამავალ პრიორიტეტულ მიმართულებაზე** აგებული და ქვემოთ წარმოდგენილია SDP პირამიდაში.



### 6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება

1. სტუდენტზე ორიენტირებული გარემო
2. კვალიფიციური ადამიანური რესურსები
3. სწავლების უმაღლესი ხარისხი
4. კვლევის განვითარება
5. ინსტიტუციური კულტურა (CSR)
6. მდგრადობა და ინსტიტუციური ზრდა

### 3 გარდამავალი პრიორიტეტულ მიმართულება

1. ციფრული ტრანსფორმაცია
2. კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა
3. ხარისხის ტრანსფორმაცია

## ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 1: სტუდენტზე-ორიენტირებული გარემო

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით თსა ხელს უწყობს სტუდენტთა იდეების განხორციელებას, მათ ავტონომიას, კეთილდღეობას და სტუდენტთა შორის პრო-აქტიული თვისებებისა და სწავლის კულტურის ჩამოყალიბებას.

### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 1.1. 2027-2028 სასწავლო წლისთვის სტუდენტების არანაკლებ 75% გამოხატავს კმაყოფილებას თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხთან, ლექტორთა კვალიფიკაციასთან, საბიბლიოთეკო და ლაბორატორიულ რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან, კლინიკური სწავლებისა და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრთან მიმართებაში.
- 1.2. საქართველოში და საზღვარგარეთ ჩატარებულ ექსტრა-კურიკულურ ღონისძიებებში (მ.შ. კვლევით და გაცვლით პროგრამებში) თსა-ს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.
- 1.3. თანატოლთა განათლებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის ტუტორების პროგრამებითა და უცხოელი სტუდენტების ადგილობრივ საზოგადოებაში უფრო მეტი ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებებით.
- 1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა.
- 1.5. თსა-ს თითოეულ სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩაერთოს მმართველობით პროცესებში და ასევე ექსტრა-კურიკულური სოციალური და კულტურული ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში.

### მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- თსა-ს მმართველობაში სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობა, რათა მათი იდეები და რეკომენდაციები აისახოს საგანმანათლებლო პროგრამებთან და მეთოდებთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვებსა და ცვლილებებში. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება სტუდენტების ჩართვა თსა-ს მრჩეველთა საბჭოს (BA) მუშაობაში 2 წლიანი როტაციის საფუძველზე.
- თსა უზრუნველყოფს კურიკულუმის კომიტეტში სტუდენტების 2 წლიანი როტაციის პროცესს სტუდენტების მიერ ჩატარებული არჩევნების გზით
- ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან არსებული თანამშრომლობის გაძლიერება და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისთვის პარტნიორობის ახალი ინიციატივების შემუშავება.

- კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის თსა-ს შიდა გრანტებით (გთხოვთ ასევე იხილოთ პრიორიტეტული მიმართულება 4).
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად თსა გააგრძელებს რეგულარულ შეფასებას და საჭიროებისამებრ გარემოს ადაპტაციას.
- თსა-ში თანასწორთა განათლების ე.წ. ტუტორების პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ტუტორების როლში დაეხმარებიან I-VI სემესტრის სტუდენტებს ბაზისური მეცნიერებების სწავლასა და პრე-კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში.
- ადგილობრივ საზოგადოებაში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის ხელშეწყობა (ა) უცხოელი პირველ-კურსელებისათვის 1-კვირიანი საორიენტაციო სესიების დაწყებით; (ბ) საერთაშორისო სტუდენტებისთვის ქართული ენის კურსების შეთავაზებით 4 სემესტრის განმავლობაში; და გ) ქართველი და უცხოელი სტუდენტების ჩართულობით არჩევითი ინტრა-, ინტერ- და ტრანს-დისციპლინური კლასების დაგეგმვით.
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ინიციატივების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კეთილდღეობას და მათი კომპეტენციების განვითარებას თვითმეგნების, თვითანალიზისა და თვითრეგულირების მიმართულებებით. მაგალითისათვის, სტუდენტებთან ფოკუს-ჯგუფების რეგულარულად გამართვა, სადაც განიხილება სტუდენტების პიროვნული და პროფესიული განვითარების გამოწვევები.
- უნივერსიტეტში ახლად ჩამოყალიბებული ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის მიერ დამატებითი ექსტრა-კურიკულური, ინტერ-დისციპლინარული ტრენინგების შეთავაზება კომუნიკაციების, არტ-თერაპიისა და სტუდენტებისათვის სხვა საინტერესო სფეროების გათვალისწინებით.
- სტუდენტური აკადემიის სამდივნოს სტრუქტურის შემცირება (5 წევრამდე), მისი ხელმძღვანელობის 2 წლიანი როტაციის დანერგვა და სტუდენტური აკადემიის ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდა ყველა სტუდენტისთვის.
- CSR-ისა და საზოგადოებრივ ინიციატივებში სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა და გაძლიერება. სოციალური და კულტურული პროექტების დიზაინსა და განხორციელებაში ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა, მათ შორის თსა-ს შიდა გრანტების მეშვეობით (გთხოვთ ასევე იხილოთ ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 5).
- თსა-ს სტუდენტების საგრანტო პროგრამაზე განაცხადების წარდგენის/განხილვისთვის გამჭვირვალე პროცედურებისა და სახელმძღვანელოების დანერგვა, სტუდენტთა აკადემიაში წევრობისგან დამოუკიდებლად.

- სტუდენტების საგრანტო განაცხადები უნდა განიხილებოდეს **დამოუკიდებელი კომისიების მიერ**, რომელიც უნდა შედგებოდეს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი გარე ექსპერტებისგან.

## ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 2: კვალიფიციური ადამიანური რესურსები

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

მაღალკვალიფიციური და გამოცდილი გუნდის **ჩამოყალიბება**, რომელიც იზიარებს თსა-ს ეთიკის კოდექსს, სწავლებისა და კვლევის მიმართულებით საუკეთესო ხარისხის ხედვას, უნივერსიტეტის ინსტიტუციურ კულტურას და კმაყოფილებას გამოთქვამს საკუთარ სამსახურსა და სამუშაო გარემოზე.

### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 2.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის ზრდა 77% -დან მინიმუმ 80%-მდე და მოწვეული ლექტორებში დოქტორის ხარისხის მქონე პედაგოგთა წილის გაზრდა 2020-2021 წწ. 13.4%-დან სულ მცირე 40%-მდე 2027-2028 წწ.
- 2.2. 2021-2028 პერიოდში თსა-ში სტუდენტების რაოდენობის პროგნოზული ზრდის გათვალისწინებით, **ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობის არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება (1:5.4).**
- 2.3. კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვისა და შენარჩუნების გაუმჯობესება, რათა აკადემიური პერსონალის >90% იყოს მხოლოდ თსა-სთან აფილირებული.
- 2.4. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისა >75 % გამოთქვამს კმაყოფილებას თსა-ში დასაქმებითა და არსებული სამუშაო გარემოთი.
- 2.5. თსა-ში საკადრო რესურსების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების შეფასების ახალი ინსტრუმენტების დანერგვით და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფით.

### მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- კვალიფიციური პედაგოგიური და ადმინისტრაციული კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების ხელშეწყობა **კონკურენტული ანაზღაურების პირობების** შეთავაზებით და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის ფინანსური და არაფინანსური წახალისების მექანიზმების დანერგვით.
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების საქმიანობის შეფასების სისტემის უწყვეტად განხორციელება და რეგულარული გადახედვა, რათა აღნიშნული ინსტრუმენტებისა და შეფასების შედეგები გახდეს უფრო სანდო და

ხელი შეუწყოს კვალიფიციური პედაგოგების შენარჩუნებასა და პროფესიულ დაწინაურებას.

- **კვალიფიციური ახალგაზრდა პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და შენარჩუნების ხელშეწყობა** **თსა-ს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში** სწავლისა და თანადაფინანსების შეთავაზებით.
- საზღვარგარეთ მოქმედი პარტნიორი ინსტიტუტების ბაზაზე თსა-ს პედაგოგიური და ადმინისტრაციული კადრებისათვის Erasmus+ და სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი **თანამშრომლობითი პროგრამების** ფარგლებში გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების გაზრდა.
- თსა-ში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება უნივერსიტეტის მისიისა და 2021-2028 SDP-ის შესაბამისად კარგად სტრუქტურირებული ორგანოგრამის (საკადრო სტრუქტურის), **დეპარტამენტებს შორის შრომის გადანაწილებისა (DoL)** და თითოეული თანამშრომლისათვის **დეტალური სამუშაო აღწერილობის (JDs)** და **წლიური შეფასების სისტემის** შემუშავებითა და დანერგვით.
- **პედაგოგთა პორტფოლიოს ინიციატივა**, როგორც რეგულარული შეფასებისა და კვალიფიციური ადამიანური რესურსების შენარჩუნების ახალ ინსტრუმენტი. პორტფოლიოში აისახება პედაგოგთა მუდმივად განახლებული პროფესიული მონაცემები, მათ შორის სტუდენტების კვლევებისა და უკუკავშირის შედეგად მიღებული მოსაზრებები.
- **პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შეთავაზება**, რათა ხელი შეეწყოს სწავლების საუკეთესო გარემოსა და თანამშრომელთა კეთილდღეობის შექმნას.
- სწავლებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით თსა-ს **ფინანსური ინვესტიციების რეგულარული შეფასება** და საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება.

### ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 3: სწავლების უმაღლესი ხარისხი

#### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და გაფართოება სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების უწყვეტი დანერგვითა და კვლევაზე-ორიენტირებული და კვლევაზე-დაფუძნებული სასწავლო მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლების სფეროში უახლეს გლობალურ ცოდნასა და დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებებს.

#### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

**3.1. სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების უწყვეტი გაძლიერება**

- 3.2. 2027-28 აკადემიური წლისათვის თსა-ს სტუდენტების არანაკლებ 75% წარმატებით დაასრულებს დიპლომირებული მედიკოსის (MD) საგანმანათლებლო პროგრამას 6 წელში.
- 3.3. ჩარიცხული სტუდენტების პირველ კურსზე სწავლების მიტოვების მაჩვენებლის <10% შენარჩუნება 2027-2028 წლისათვის, იმის გათვალისწინებით რომ ყოველწლიურად საშუალოდ 10%-თ გაიზრდება ჩარიცხულ სტუდენტთა ნაკადი.
- 3.4. 2028 წლისთვის თსა-ს კურსდამთავრებულთა > 75 % სწავლის დასრულებიდან 4 წელიწადში დასაქმებულია ჯანდაცვის ინდუსტრიაში, სამეცნიერო-კვლევებში ან განაგრძობს სწავლას შემდგომი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
- 3.5. სამედიცინო პროფესიონალებისთვის ინგლისურენოვანი სპეციალიზებული ტრენინგ-კურსების მეშვეობით, გაზრდილი წვდომა უახლეს სასწავლო და კვლევით რესურსებზე ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

### **მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები**

- შეიქმნას ახალი განყოფილება - მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ინოვაციების დეპარტამენტი (CIMED) სამედიცინო განათლების რეფორმების ეფექტური დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელების მიზნით. CIMED კურიკულუმის კომიტეტთან კოორდინაციით უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების უწყვეტ გადასინჯვას და ყველა დისციპლინაში კვლევითი ხაზის გაძლიერებას. პროცესი წარიმართება უახლეს მტკიცებულებებზე და დარგობრივ სტანდარტებსა და ინოვაციებზე დაყრდნობით. ამასთანავე CIMED გაითვალისწინებს თსა-ს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ჩატარებული ყოველწლიური და სემესტრული კვლევების შედეგებს.
- პორტფოლიოს სრულმასშტაბიანი დანერგვა 6-წლიან სასწავლო პროგრამაში და სწავლის შედეგების ინტეგრაცია კომპეტენციებზე-დაფუძნებული შეფასების მეთოდებში, მათ შორის მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების პროცესებში.
- როგორც Erasmus+ SAFEMED + პროექტის წამყვანი კოორდინატორი უნივერსიტეტი, თსა უზრუნველყოფს კლინიკური ხაზის კონცეფციის ინტეგრაციას სამედიცინო კურიკულუმში ესპანეთის, იტალიის, ლიეტუვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის 8 უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.
- კლინიკური სწავლების გაძლიერება სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების გაზრდით კლინიკური მიმოხილვების, კლინიკური აზროვნების, თსა-ს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ბაზაზე სწავლებისა და ე.წ. ტუტორების პროგრამების განხორციელებით.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა "რეალური პაციენტების" ბაზის გაფართოებას, როგორც თსა-ს საუკეთესო პრაქტიკას, პაციენტებთან კომუნიკაციისა და ფიზიკალური გასინჯვის გზით სტუდენტების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.
- კლინიკური სწავლების ხარისხის გაძლიერება. 37 კლინიკასთან თსა-ს დღეს

არსებული თანამშრომლობის გადახედვა, რათა სელექტიური კონტრაქტირებისთვის შეირჩეს საუკეთესო სასწავლო კლინიკური ბაზები. აღნიშნული პროცესი მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესების, სტუდენტების კლინიკურ სწავლებაში ჩართული პედაგოგების რაოდენობისა და სტუდენტების პაციენტებთან კონტაქტის შესაძლებლობების შეფასებას.

- კლინიკურ სასწავლო ბაზებში ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა სწავლებისა და შეფასების პროცესების უფრო ეფექტური მონიტორინგისათვის.
- ახალი სტრატეგიულ პარტნიორობების ჩამოყალიბება ადგილობრივ პუბლიკურ პროვადერებთან, რათა მნიშვნელოვნად გაზარდოს სტუდენტებისათვის კლინიკური სწავლებისა და სტაჟირების შესაძლებლობები. პირველადი ჯანდაცვის ქსელში არსებული კლინიკური გარემო, საშუალებას მისცემს თსა-ს სტუდენტებს, რომ მიიღონ უფრო ინტენსიური პრაქტიკული გამოცდილება კლინიკური მოვლის (ცოდნისა და უნარ-ჩვევების), პროფესიონალიზმის (გუნდური მუშაობისა და ეთიკური საკითხების) და კომუნიკაციის (თანამშრომლებთან და პაციენტებთან) მიმართულებებით.
- თსა-ს ამბულატორიული კლინიკის პროექტის შემუშავება და ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის კლინიკური სწავლების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (გთხოვთ ასევე იხილოთ პრიორიტეტული მიმართულება 6).
- ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დანერგვა, რომლის ფარგლებშიც თსა შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს სამაგისტრო პროგრამას გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (MPH) მიმართულებით და სადოქტორო (PhD) პროგრამას სამედიცინო მეცნიერებებში (გთხოვთ ასევე იხილოთ ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 6).
- თსა დააარსებს ინგლისური ენის სპეციალიზებულ კურსებს სამედიცინო პროფესიონალებისთვის, როგორც შესაძლებლობა თსა-ს ქართველი სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, გააუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა. ეს უკანასკნელი ასევე იქნება საქართველოს ფართო სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საზოგადოების განვითარებაში შეტანილი თსა-ს მნიშვნელოვანი შეტანილი წვლილი.

#### ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 4: კვლევის განვითარება

##### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

თსა-ს კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა საბოლოოდ დაწესებულება კვლევით უნივერსიტეტად გარდაიქმნას, აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით კვლევით საქმიანობაში და რესურსების განვითარებით, პროგრამების ინტერნაციონალიზაციით და საგანმანათლებლო პროგრამების უკანასკნელი სამეცნიერო მტკიცებულებებთან კავშირის გაზრდით.

## პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 4.1. აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდა კვლევით საქმიანობაში ( 2027-28 წწ. >30%-მდე ჩართულობით;
- 4.2. დაფინანსებული კვლევითი პროექტების რაოდენობის გაზრდა;
- 4.3. კვლევით საქმიანობისთვის განსაზღვრული დაფინანსების ეტაპობრივი მომატება ;
- 4.4. კვლევითი საქმიანობისთვის გარე დაფინანსების მაჩვენებელთა გაუმჯობესება.

## მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- კვლევითი ხაზის გაძლიერება ყველა დისციპლინაში, უახლესი სამეცნიერო და ოპერატიული კვლევების მტკიცებულებების უწყვეტი ინტეგრირებით მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურიკულუმებში;
- კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების ჩართულობის გაზრდა შიდა ტრენინგების/საორიენტაციო სესიების, შიდა საგრანტო პროგრამების, ორმხრივი და მრავალმხრივი კვლევითი ინიციატივების მეშვეობით;
- მკვლევარებისა და დოქტორანტებისათვის სტრუქტურული ადმინისტრაციულ მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის: (1) კვლევითი გრანტებისა და დაფინანსების გამცემი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოძიებითა და გაზიარებით; (2) ფინანსური რესურსების მოსაზიდად საგრანტო განაცხადების წერის/შემუშავების პროცესში ტექნიკური ხელშეწყობით; (3) შესაბამისი კვლევითი პროექტების განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერითა, და (4) კვლევის შედეგების გავრცელებასა და პუბლიკაციებში ტექნიკური დახმარებით;
- კვლევით საქმიანობასა და სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის თსა-ს შიდა გრანტებით (*გთხოვთ ასევე იხილოთ პრიორიტეტული მიმართულება 1*);
- კვლევითი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, მათ შორის სამეცნიერო ბაზებზე წვდომისა და საჭირო ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაძლიერებით;
- თსა-ს კვლევითი მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა და 2025-2026 სასწავლო წლისათვის დაგეგმილი სადოქტორო პროგრამისათვის;
- თსა-ს კვლევითი მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების ეტაპობრივი ალოკაცია ახალი პროექტების დასაფინანსებლად;
- თსა-ს ადამიანური და ფინანსური რესურსების კონცენტრირების მიზნით

ყურადღების გამახვილება შემდეგ 3 მიმართულებაზე: (ა) პრიორიტეტული მიმართულებებით და გამოყენებით მეცნიერებებში მტკიცებულებების გენერირება და გავრცელება; (ბ) ინტერ- დისციპლინური თანამშრომლობა, როგორცაა ხელოვნება და მეცნიერება, და გ) მეცნიერების კომუნიკაცია, მათ შორის თსა-ს მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტების შინაარსისა და შედეგების გავრცელებით;

- მეცნიერების კომუნიკაცია საჯარო ლექციების, სამეცნიერო ფესტივალების, სეზონური სკოლებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის მიზნით მოხდება მიმდინარე კვლევითი პროექტებისა და მათი შედეგების პრეზენტაცია;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სხვა კვლევით ჯგუფებთან პარტნიორობის გაფართოება და ახალი თანამშრომლობითი ალიანსების ჩამოყალიბება ჯანდაცვის სექტორთან/ინდუსტრიასთან, რათა შეიქმნას ცოდნის გადაცემის ჯაჭვი, მათ შორის მრავალდისციპლინური და გამოყენებითი კვლევების მეშვეობით.

## ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 5: ინსტიტუციური კულტურა და CSR

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

თსა-ს ინსტიტუციური კულტურის უფრო ძლიერი პოზიციონირება უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, სტუდენტზე-ორიენტირებული გარემოს ხელშეწყობით, სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვით, აკადემიური თავისუფლებით, ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივ ინიციატივებში თსა-ს ჩართულობის გაძლიერებით.

### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 5.1. სტუდენტებისა და თანამშრომლების პრიორიტეტულ CSR ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობის და 2027-28 წლისთვის მათი მონაწილეობის მზარდი ტენდენციის უზრუნველყოფა;
- 5.2. თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის ცნობიერების ამაღლება თსა-ს ინსტიტუციურ კულტურაზე, სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულებასა და მნიშვნელობაზე;
- 5.3. თსა-ს ინსტიტუციური კულტურის გაძლიერება უნივერსიტეტის საქმიანობაში და ინსტიტუციური მისიის მიღწევის გზაზე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით.

### მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- თსა-ს ინსტიტუციური კულტურის შესახებ სტუდენტებთან, ფაკულტეტების წევრებთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან შეხვედრების ორგანიზება,

ინსტიტუციური კულტურის შესახებ ინფორმირების გაზრდის მიზნით;

- **თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის საორიენტაციო სესიების/ტრენინგების შეთავაზება** თსა-ს მისიის, ინსტიტუციური კულტურის, ეთიკის კოდექსისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე, რაც პასუხობს აღნიშნული ღონისძიებები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული **კურიკულუმის ფარგლებში თუ მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ სასწავლო ინიციატივებთან**, რომლის მიზანია სტუდენტებში CanMEDS-ის ჩარჩოთი განსაზღვრული ექიმის კომპეტენციების განვითარება;
- **სოციალური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება**, რაც სტუდენტებს დაეხმარება სოციალურად აქტიური პროფესიონალებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაში;
- სტუდენტთა და თსა-ს თანამშრომელთა ჩართულობა **ექსტრაკურიკულურ CSR პროექტებში შემდეგი 3 პრიორიტეტული მიმართულებით**: (1) საზოგადოების ჩართულობა (2) ჯანმრთელობის ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება (3) გარემოს და პლანეტარული ჯანმრთელობა
- **თსა-ს კურსდამთავრებულთა (ალუმნების) ქსელის გაძლიერება** რეგულარული კომუნიკაციით, და კურსდამთავრებულებისა და ყოფილი თანამშრომლების ჩართულობით უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევით, CSR და საზოგადოებრივ ღონისძიებებში;
- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება** და ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე გამოწვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

## ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 6: მდგრადობა და ინსტიტუციური ზრდა

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

თსა-ს საოპერაციო და ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საუკეთესო ხარისხის აკადემიურ და კვლევით პრაქტიკაში ინვესტირებით და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებებით საერთაშორისო თანამშრომლობითი ინიციატივების გაფართოვებით.

### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 6.1. **ბაზრის კვლევების რეგულარული ანალიზისა და მომავალი კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით, თსა-ს სტუდენტების** (მათ შორის უცხოელი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების) **რაოდენობის ზრდა** 2020-21 სასწავლო წელს 853-დან 1,300-მდე 2027-28 წლისათვის, მომავალი კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ბაზრის კვლევების რეგულარული ანალიზის გათვალისწინებით;

- 6.2. თსა-ში უცხოელი სტუდენტების გეოგრაფიული წარმომადგენლობის გაფართოება >15- ქვეყანამდე, თითოეული სულ მცირე 5 სტუდენტით წარმოდგენილი 2027-2028 სასწავლო წლისთვის;
- 6.3. 2020-21 და 2027-2028 აკადემიურ წლებს შორის პერიოდში აკადემიური პერსონალის და მოწვეულ ლექტორთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გაზრდა 13%-დან 50%-მდე;
- 6.4. ადმინისტრაციული პერსონალისთვის უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გაფართოება;
- 6.5. თსა-თან ერთობლივ, გაღრმავებულ თანამშრომლობით პროგრამებში ჩართული საერთაშორისო უნივერსიტეტების რაოდენობის გაზრდა 6 უნივერსიტეტიდან სულ მცირე 30 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე 2027-28 წწ-ში;
- 6.6. უცხოელი პედაგოგების, მათ შორის უცხოეთში მომუშავე ქართველი ლექტორების, ჩართულობის გაზრდა;
- 6.7. კლინიკური სწავლების გაუმჯობესება, მ.შ. თსა-ს ამბულატორიული კლინიკის დაარსებით 2027-2028 სასწავლო წლისათვის;
- 6.8. თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და დივერსიფიკაცია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამიდან (MD) სამაგისტრო (MPH) და სადოქტორო (PhD) საფეხურების ჩათვლით;
- 6.9. გენდერული თანასწორობის მიზნით, განურჩევლად სქესისას თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- ადგილობრივი სტუდენტების მოზიდვა ეფექტური საინფორმაციო კამპანიებითა და საშუალო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის/აბიტურიენტებისთვის თსა-ს სწავლების პროცესის დაკვირვების შესაძლებლობების შეთავაზებით.
- ბაზრის კვლევების რეგულარულ მიმოხილვის და სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივ ზრდის უზრუნველყოფა კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით .
- პარალელურად, თსა-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ინიციატივებში მეტი ინვესტიციების განხორციელება (გთხოვთ ასევე იხილოთ გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 2).
- თსა-ს ინტერნაციონალიზაციისათვის ძალისხმევის გაძლიერება სხვადასხვა

გეოგრაფიული რეგიონებიდან სტუდენტებისა და პედაგოგების მეტი ჩართულობის, თანამშრომლების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების გაფართოებისა და ერთობლივი კვლევითი ინიციატივების განხორციელების მიზნით.

- **თსა-მ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ქვეყნების დივერსიფიკაციას, რომლებსაც წარმოადგენენ თსა-ს სტუდენტები და პედაგოგები, ევროპაზე აქცენტით. 2027-2028 წლისთვის მინიმუმ 15 ქვეყანა, თითოეულიდან მინიმუმ 5 სტუდენტის წარმომადგენლობით**
- ასევე პრიორიტეტული იქნება უცხოელი პედაგოგებისა და მკვლევარების ჩართულობა როგორც სასწავლო და კვლევით ინიციატივებში, ისე გამოცდილების გასაზიარებლად საჯარო ლექციებსა და კონფერენციებში, რომელსაც თსა უმასპინძლებს.
- სტუდენტებისა და ახალგაზრდა პედაგოგებისათვის **2 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის** - სამაგისტრო და სადოქტორო - ამოქმედება.
- **თსა-ს ამბულატორიული კლინიკის ამოქმედება, სრულ განაკვეთზე მომუშავე კლინიკური პერსონალით**, რათა გაუმჯობესდეს კლინიკურ გარემოში სწავლებისა და შეფასების მეთოდები, კლინიკურ სამუშაო გარემოში სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობები და უცხოელი სტუდენტების ინტერაქცია კლინიკისტებთან და პაციენტებთან.
- **ამბულატორიული კლინიკის ჩამოყალიბებისა და დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება**, მათ შორის საერთაშორისო დონორი სააგენტოების, სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის რესურსების შესაძლო მობილიზაციის მიზნით.
- **საბიბლიოთეკო (საწიგნო ფონდისა და ელექტრონული რესურსების), ლაბორატორიული და სიმულაციური სასწავლო ცენტრის რესურსების (Anatomage მაგიდის, VR) მუდმივი განახლება და ზრდა** უახლესი მტკიცებულებების საფუძველზე და სასწავლო და კვლევით პროცესებში დანერგილი ინოვაციების გათვალისწინებით.
- **საკადრო რესურსების შერჩევისა და აყვანის პროცესში გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და ინსტრუმენტების დანერგვა.**
- თსა-ს ხარისხის უცხო ქვეყნების მზარდი რაოდენობის მიერ აღიარების უზრუნველყოფა

## გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 1: ციფრული ტრანსფორმაცია

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

თსა-ს ინტერნაციონალიზაციისა, და უნივერსიტეტის შიდა და გარე კომუნიკაციის გაძლიერება უახლესი ციფრული ტექნოლოგიების შემუშავებითა და დანერგვით.

## პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 7.1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის თსა-ს დამოუკიდებელი სამედიცინო განათლების (MD) პროგრამის აკრედიტაციის და განხორციელების უზრუნველყოფა ჰიბრიდული, პირისპირ და ონლაინ სწავლებისთვის.
- 7.2. 2027-28 სასწავლო წლისთვის სტუდენტებისა და თანამშრომლების სულ მცირე 75% კმაყოფილებას გამოთქვამს თსა-ში დანერგილ შიდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ეფექტურობაზე.

## მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- თსა-ს დამოუკიდებელი სამედიცინო განათლების პროგრამა (MD) ჰიბრიდული, პირისპირ და ონლაინ სწავლებისა და შერეული სასწავლო კურსების შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსებით (მაგ. Elsevier) და შეფასების ადაპტირებული მეთოდებით
- თსა-ს ფარგლებში ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის, ან სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გასაძლიერებლად ადმინისტრაციული და საინფორმაციო სისტემების გაციფრულების გაუმჯობესება. აღნიშნული მოიცავს თსა-ს ოფიციალური ვებ-გვერდის განახლებასა და თსა-ს სპეციალური მობილური აპლიკაციების შემუშავებას.

## **გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 2: კომუნიკაცია და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**

### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის თსა-ს, როგორც სანდო საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტისა და ძლიერი ინსტიტუციური კულტურის მქონე ორგანიზაციის პოზიციონირება, ეფექტური საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავებითა და განხორციელებით.

### პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 8.1. თსა-ს სასწავლო, კვლევითი და CSR ინიციატივების მედიაში გაშუქების და სოციალური მედიის ჩართულობის გაფართოვება.
- 8.2. 2027-2028 სასწავლო წლისთვის აპლიკანტთა >60%-ს თსა-ს შესახებ ინფორმაცია მიღებული აქვთ მედიის, სოციალური ქსელების ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან.
- 8.3. საქართველოში და საზღვარგარეთ თსა-ს პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა 2027-2028 სასწავლო წლისათვის.

## მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის თსა-ს შესახებ ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პედაგოგების წარმატებული ისტორიების პოპულარიზაციით მედიის, სოციალური ქსელების, თსა-ს ვებ-გვერდის, სარეკლამო რგოლებისა და სატელევიზიო/რადიო ინტერვიუების საშუალებით.
- უნივერსიტეტის არსებული მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეფორმირება შიდა და გარე კომუნიკაციის სპეციალური განყოფილების დაარსებით ტელე/რადიოსთან, პრესასთან და ინტერნეტზე დაფუძნებულ მედიასთან მოკლე ხაზებით და თსა-ის მიღწევების შესახებ ახალი ამბების ყოველ ორკვირეული მედიის მონიტორინგით.
- ღია კარის დღეების, საჯარო ლექციების, კონფერენციების, საზაფხულო სკოლების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით თსა-ს როგორც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო სკოლის წარმოჩინება, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ინფრასტრუქტურას, სასწავლო ლაბორატორიებს, გაცვლით პროგრამებს, და სასწავლო და კვლევითი მიმართულებებით სხვა ინოვაციებს.
- თსა-ს ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდების განახლება სტუდენტებთან, ფაკულტეტის წევრებთან, თანამშრომლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და პერსპექტიულ პარტნიორებთან უფრო აქტიური კომუნიკაციისათვის.
- თსა-ს პროგრამების შესახებ ყოველწლიური ანგარიშებისა და საინფორმაციო მასალების (ბროშურები, საინფორმაციო ბუკლეტები) შექმნა და რეგულარული გავრცელება ქართულ და ინგლისურ ენაზე ახალი აპლიკანტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვის მიზნით.
- აკადემიური და კვლევითი მიმართულებებით საჯარო და კერძო სექტორში მოქმედ პოტენციურ პარტნიორებთან სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზება და თანამშრომლობების შეთანხმება ურთიერთგაგების მემორანდუმების ფორმატში.
- საჯარო და კერძო სექტორში თსა-თან საზიარო ინსტიტუციური და CSR ღირებულებების მქონე პოტენციურ დამსაქმებლებთან თსა-ს სტუდენტების დაკავშირება (გთხოვთ ასევე იხილოთ პრიორიტეტული მიმართულება 6).

### გარდამავალი პრიორიტეტული მიმართულება 3: ხარისხის ტრანსფორმაცია

#### პრიორიტეტული მიმართულების მიზანი

თსა-ს საქმიანობის ყველა სფეროში (სწავლა-სწავლების, კვლევისა და CSR მიმართულებით) და ყველა დონეზე (ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ) ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტიული სისტემის დანერგვა და უწყვეტი და ეფექტური გაუმჯობესების პროცესის უზრუნველყოფა

## პრიორიტეტული მიმართულების ამოცანები

- 9.1. ინსტიტუციური საქმიანობისა, თანამშრომლებისა და სტუდენტების კმაყოფილების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფისა (QA) და ხარისხის გაუმჯობესების (QI) შიდა და გარე სისტემების შემდგომი გაძლიერება.
- 9.2. 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული და სრულად დანერგილია სწავლა-სწავლების, კვლევისა და CSR-ის საქმიანობის ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ დონეზე ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტიული სისტემა.

## მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პრიორიტეტული ღონისძიებები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის / ხარისხის გაუმჯობესების შიდა პროცესების უწყვეტი განხორციელება და გადახედვა.
- სტუდენტების კმაყოფილების წლიური კვლევების, თანამშრომელთა კმაყოფილების წლიური კვლევების, წლიური შიდა და საჭიროებისამებრ გარე აუდიტების განხორციელება. აუდიტისა და კვლევების შედეგების რეგულარული ანალიზი თსა-ს ხელმძღვანელობისა და შესაბამისი დეპარტამენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და რეაგირებისათვის.
- ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტიული სისტემისა და ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა თსა-ს მიერ ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ დონეზე განხორციელებული (ა) სწავლა-სწავლების (ბ) კვლევითი და (გ) ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების მიმართებაში.
- უწყვეტი გაუმჯობესების პროცესის უზრუნველყოფა, დეპარტამენტების სამოქმედო გეგმებში რეკომენდებული ცვლილებებისა და ეფექტური თვითშეფასების ანგარიშგების პროცესით.

## 2.2. 2021-2028 სტრატეგიული განვითარების გეგმის შედეგების ჩარჩო

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 1	სტუდენტზე-ორიენტირებული გარემო	
<p>თსა-ს პასუხისმგებელი სამსახურები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმძღვანელობა</li> <li>• მრჩეველთა საბჭო (BA)</li> <li>• საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (IAD)</li> <li>• სოციალური პროექტების მართვის სამსახური (SPMD)</li> <li>• სტუდენტური აკადემია (SA)</li> <li>• კურიკულუმის კომიტეტი (CC)</li> <li>• მედიცინის სკოლის დეკანატი (DOSM)</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დეკანატი (DOSPH)</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (QAD)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სამსახური (DCCS)</li> <li>• მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (MPRD)</li> <li>• სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (DSPM)</li> <li>• სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი (SRPHDD)</li> <li>• კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი (CSL)</li> <li>• თსა-ს ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტი</li> <li>• ბიბლიოთეკა (LIB)</li> <li>• ინფორმაციული-ტექნოლოგიების სამსახური (ITD)</li> </ul>
<p>პარტნიორი ორგანიზაციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• IFMSA</li> <li>• GME<sub>x</sub></li> <li>• AMO<sub>p</sub>portunities</li> <li>• Erasmus +</li> <li>• განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პარტნიორი უნივერსიტეტები საქართველოში (GIPA, TSMU, DTMU, BAU)</li> <li>• თსა-ს პარტნიორი უნივერსიტეტები 13 ქვეყანაში</li> <li>• Safemed+ კონსორციუმში მონაწილე მხარეები — ესპანეთის, იტალიის, ლიეტუვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის 8 უნივერსიტეტი.</li> </ul>
<p>სტრატეგიული მიზნები</p>	<p>შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI), ქვე-ინდიკატორები (SI), საბაზისო მონაცემები და სამიზნეები</p> <p>შეფასების/ვალიდაციის მეთოდები</p>	

<p>1.1. 2027-2028 წწ. სტუდენტების გამოხატავს კმაყოფილებას საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხთან, ლექტორთა კვალიფიკაციასთან, საბიბლიოთეკო და ლაბორატორიული შესაძლებლობებთან, კლინიკური სწავლებისა და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრთან მიმართებაში.</p>	KPI	<p>თსა-ში სწავლის საერთო ხარისხით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>საბაზისო 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 75% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>
	SI	<p>სასწავლო კურსებისა და სწავლების ხარისხით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>საბაზისო 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 75% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>
	SI	<p>კლინიკური სწავლებით/ პრაქტიკულ გამოცდილებაში ჩართვით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>საბაზისო 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 75% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>
	SI	<p>საბიბლიოთეკო რესურსებით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>საბაზისო 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 75% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>
	SI	<p>ლაბორატორიული ინფრასტრუქტურით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>საბაზისო 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 75% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>
	SI	<p>კლინიკური / პრეკლინიკური სწავლების კავშირებით კმაყოფილი სტუდენტების %</p> <p>Baseline 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება Target 2023-24: 75% Target 2027-28: &gt;75%</p>	<p>სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა</p>

	SI	კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრით კმაყოფილი სტუდენტების % Baseline 2019-20: მონაცემი არ მოიპოვება Target 2023-24: 75% Target 2027-28: >75%	სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული სტუდენტების რაოდენობა (რაო-ბა), რომელიც დადებითად აფასებს აღნიშნულ მაჩვენებელს. მნიშვნელი: გამოკითხულ სტუდენტთა საერთო რაო-ბა
1.2. 2021 სასწავლო წელთან შედარებით 2027-2028 წლისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ ექსტრა-კურიკულურ ღონისძიებებში თსა-ს ქართველი და უცხოელი სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.	KPI	ქართველი და უცხოელი სტუდენტების % რომლებმაც გაიარეს გაცვლით პროგრამები, სტაჟირება საზღვარგარეთ საბაზისო 2019-20: 10% სამიზნე 2023-24: 15% სამიზნე 2027-28: 20%	თსა ადმინისტრაციული მონაცემები მრიცხველი: ქართველი და უცხოელი სტუდენტების რაო-ბა, რომელმაც დაასრულა გაცვლითი პროგრამა ან სტაჟირება საზღვარგარეთ. მნიშვნელი: საანგარიშო წელს თსა-ს სტუდენტთა საერთო რაო-ბა
	SI	ექსტრაკურიკულური აქტივობების რაო-ბა რომლებსაც თსა სთავაზობს სტუდენტებს საბაზისო 2019-20: მონაცემები არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 30 სამიზნე 2027-28: >50	სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: შესაბამისი პასუხისმგებელი დეპარტამენტების მიერ დათვლილი აქტივობების რაოდენობა
1.3. თანატოლთა განათლებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის ტუტორების პროგრამებითა და უცხოელი სტუდენტების ადგილობრივ საზოგადოებაში უფრო მეტი ინტეგრაციის ხელშეწყობი		ახლად ჩარიცხული უცხოელი სტუდენტებისათვის დანერგილია 4-სემესტრის მანძილზე ქართული ენის კურსები (დიახ/არა) საბაზისო 2020-2021: დიახ სამიზნე 2023-24: დიახ სამიზნე 2027-28: დიახ	თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები
		ახლად-ჩარიცხული უცხოელი სტუდენტებისთვის დანერგილია 1-კვირიანი საორიენტაციო სესიები (დიახ/არა) საბაზისო 2020-2021: არა სამიზნე 2023-24: დიახ სამიზნე 2027-28: დიახ	თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები

<p>ღონისძიებებით.</p>	<p>KPI</p>	<p>სტუდენტების %, რომელიც ჩართულია ტუტორების პროგრამაში  საბაზისო 2020-2021: 0%  სამიზნე 2023-24: 10%  სამიზნე 2027-28: 20%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები</p>
<p>1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო.</p>		<p>თსა უზრუნველყოფს ადაპტირებულ გარემოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის(დიახ/არა)  საბაზისო 2020-2021: დიახ  სამიზნე 2023-24: დიახ  სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები</p>
<p>1.5. თსა-ს თითოეულ სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ ჩაერთოს მმართველობით პროცესებში და ექსტრა-კურიკულური სოციალური და კულტურული ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში</p>		<p>თსა-ს სტუდენტური ინიციატივების საგრანტო აპლიკაციებისათვის დანერგილია გამჭვირვალე პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები (დიახ/არა)  საბაზისო 2020-2021: არა  სამიზნე 2023-24: დიახ  სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები და პროცედურები</p>
		<p>თსა-ს სტუდენტების საგრანტო განაცხადებს განიხილავს დამოუკიდებელი კომისიები გარე ექსპერტების ჩართულობით (დიახ/არა)  საბაზისო 2020-2021: არა  სამიზნე 2023-24: დიახ  სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები და დამოუკიდებელი კომისიების შეხვედრების ოქმები</p>
		<p>სტუდენტურ აკადემიაში მოქმედებს ხელმძღვანელობის 2 წლიანი როტაციის პოლიტიკა (დიახ/არა)  საბაზისო 2020-2021: არა  სამიზნე 2023-24: დიახ  სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები და პროცედურები</p>

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 2	საკადრო რესურსების კვალიფიკაცია	
<p>თსა-ს პასუხისმგებელი სამსახურები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თსა-ს ხელმძღვანელობა</li> <li>• BA</li> <li>• უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (GPDHRD)</li> <li>• QAD</li> <li>• IAD</li> <li>• DOSM</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საფინანსო სამსახური</li> <li>• იურიდიული დეპარტამენტი (LD)</li> <li>• შრომითი უსაფრთხოებისა და ლოჯისტიკის სამსახური (OSLD)</li> <li>• LIB</li> <li>• ITD</li> <li>• გამოცდების ცენტრი (EC)</li> </ul>
<p>პარტნიორი ორგანიზაციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პარტნიორი უნივერსიტეტები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ</li> <li>• კვლევითი ცენტრები და M&amp;E სააგენტოები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარე აუდიტორული კომპანიები</li> <li>• NCEQE</li> </ul>
სტრატეგიული მიზნები	შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI), ქვე-ინდიკატორები (SI), საბაზისო მონაცემები და სამიზნეები	
<p>2.1. დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის ზრდა 77%-დან მინიმუმ 80% -მდე და მოწვეულ ლექტორებში დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პედაგოგთა წილის გაზრდა 2020-2021 წწ. 13.4%-დან სულ მცირე 40%-მდე 2027-2028 წწ.</p>	<p>KPI</p>	<p>თსა-ს აკადემიურ პერსონალში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგთა %</p> <p>საბაზისო 2020-21: 77%</p> <p>სამიზნე 2023-24: 80%</p> <p>სამიზნე 2027-28: &gt; 80%</p>
	<p>KPI</p>	<p>თსა-ს მოწვეულ ლექტორებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგთა %</p> <p>საბაზისო 2020-21: 13,4%</p> <p>სამიზნე 2023-24: 20%</p> <p>სამიზნე 2027-28: 40%</p>
	<p>შეფასების/ვალიდაციის მეთოდები</p> <p>TMA ადმინისტრაციული მონაცემები. მრიცხველი: თსა-ს აკადემიური პერსონალის რაო-ბა, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. მნიშვნელი: აკადემიური პერსონალის საერთო რაო-ბა</p> <p>TMA ადმინისტრაციული მონაცემები. თსა-ს მოწვეულ ლექტორთა რაო-ბა, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. მნიშვნელი: მოწვეული ლექტორების რაო-ბა.</p>	

<p>2.2. 2021-2028 პერიოდში თსა-ში სტუდენტების რაოდენობის პროგნოზული ზრდის გათვალისწინებით, ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობის არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაუმჯობესება (1: 5.4).</p>	<p>KPI</p>	<p>ლექტორებისა და სტუდენტების თანაფარდობა. საბაზისო 2020-21: 1:5,4 სამიზნე 2023-24: 1:5,2 სამიზნე 2027-28: 1:5</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები. მრიცხველი: აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების რაო-ბა. აღნიშნული არ მოიცავს მხოლოდ კვლევით საქმიანობაში ჩართულ კადრს. მნიშვნელი: სტუდენტთა რაო-ბა.</p>
<p>2.3. კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვისა და შენარჩუნების გაუმჯობესება, რათა აკადემიური პერსონალის &gt; 90% იყოს თსა-თან აფილირებული.</p>	<p>KPI</p>	<p>აკადემიური პერსონალის %, რომელიც მხოლოდ თსა-თან არის აფილირებული. საბაზისო 2020-21: 82% სამიზნე 2023-24: 85% სამიზნე 2027-28: &gt;90%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები. მრიცხველი: აკადემიური პერსონალის რაო-ბა, რომელიც მხოლოდ თსა-თან არის აფილირებული. მნიშვნელი: აკადემიური პერსონალის საერთო რაო-ბა</p>
<p>2.4. პედაგოგიური და ადმინისტრაციული კადრების სულ მცირე 75% გამოთქვამს კმაყოფილებას თსა-ში დასაქმებითა და არსებული სამუშაო</p>	<p>KPI</p>	<p>ადმინისტრაციული პერსონალის %, რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს თსა-ში დასაქმებითა და არსებული სამუშაო გარემოთი. საბაზისო 2020-21: მონაცემები არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 50% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>პერსონალის კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული ადმინისტრაციული თანამშრომლების რაო-ბა, რომელიც დადებითად აფასებს ინდიკატორს. მნიშვნელი: გამოკითხული ადმინისტრაციული თანამშრომლების საერთო რაო-ბა</p>

<p>გარემოთი.</p>	<p>SI</p>	<p>აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების %, რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს თსა-ში დასაქმებითა და არსებული სამუშაო გარემოთი. საბაზისო 2020-21: მონაცემები არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 50% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>პერსონალის კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული აკადემიური პერსონალისა და მოწვეულ ლექტორთა რაო-ბა, რომელიც დადებითად აფასებს ინდიკატორს. მნიშვნელი: გამოკითხული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორები საერთო რაო-ბა</p>
	<p>SI</p>	<p>აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების % რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს თსა-ში არსებული სასწავლო რესურსებით (წიგნები, ბიბლიოთეკა, IT რესურსები, ლაბორატორია) საბაზისო 2020-21: მონაცემები არ მოიპოვება სამიზნე 2023-24: 50% სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევები. მრიცხველი: გამოკითხული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების რაო-ბა, რომელიც დადებითად აფასებს ინდიკატორს. მნიშვნელი: გამოკითხული აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების საერთო რაო-ბა</p>
<p>2.5. თსა-ში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების შეფასების ახალი ინსტრუმენტების დანერგვით და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფით.</p>	<p>ადამიანური რესურსების (HR) მართვის ახალი ინსტრუმენტები, მათ შორის DoI, JDs, საქმიანობის შეფასების ანგარიშები და მასწავლებლის პორტფოლიო დანერგვით (დიახ/არა) საბაზისო 2020-21: არა სამიზნე 2023-24: დიახ სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული ჩანაწერები - HR მართვის პროცედურები და ანგარიშები.</p>	
<p>ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება 3</p>	<p>სწავლების უმაღლესი ხარისხი</p>		

<p>თსა-ს პასუხისმგებელი სამსახურები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თსა-ს ხელმძღვანელობა</li> <li>• BA</li> <li>• CIMED</li> <li>• CC</li> <li>• DSPM</li> <li>• QAD</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• IAD</li> <li>• DOSM</li> <li>• DOSPH</li> <li>• რეზიდენტურის პროგრამების დეპარტამენტი (DRP)</li> <li>• DCCS</li> </ul>
<p>პარტნიორი ორგანიზაციები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• NCEQE</li> <li>• თსა-ს პარტნიორი უნივერსიტეტები საქართველოში (GIPA, TSMU, DTMU, BAU)</li> <li>• თსა-ს პარტნიორი უნივერსიტეტები 13 ქვეყანაში</li> <li>• Safemed + კონსორციუმში მონაწილე მხარეები - 8 უნივერსიტეტი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თსა-ს პარტნიორი საავადმყოფოები და პუკდ პროვაიდერები კლინიკური სწავლების ეტაპისათვის</li> <li>• სახელმწიფო ენის დეპარტამენტი</li> <li>• ჯანდაცვის სახელმწიფო უწყება</li> </ul>
<p>სტრატეგიული მიზნები</p>	<p>შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI), ქვე-ინდიკატორები (SI), საბაზისო მონაცემები და სამიზნეები</p>	<p>შეფასების/ვალიდაციის მეთოდები</p>
<p>3.1. სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების უწყვეტი გაძლიერება</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამებში დანერგილია სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდები.</p> <p>საბაზისო 2019-2020: დიახ სამიზნე 2023-24: დიახ სამიზნე 2027-28: დიახ</p> <p>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების ინოვაციების დეპარტამენტი (CIMED) შექმნილია</p> <p>საბაზისო 2020-21: არა სამიზნე 2023-24: დიახ სამიზნე 2027-28: დიახ</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p>

<p><b>3.2. თსა-ს სტუდენტების არანაკლებ 75% წარმატებით ასრულებს დიპლომირებული მედიკოსის (MD) სწავლებას 6 წელიწადში.</b></p>	KPI	<p>თსა-ს ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების %, რომელმაც წარმატებით დაასრულა დიპლომირებული მედიკოსის (MD) პროგრამა 6 წელიწადში.</p> <p>საბაზისო 2019-2020: 65%</p> <p>სამიზნე 2023-24: 70%</p> <p>სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>მრიცხველი: ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების რაო-ბა, რომელმაც მიმდინარე წელს დაასრულა MD პროგრამა. მნიშვნელი: ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების რაო-ბა (კოჰორტა), რომელიც ჩაირიცხა MD პროგრამაზე 6 წლის წინ.</p>
	SI	<p>თსა-ს ქართველი სტუდენტების %, რომელმაც წარმატებით დაასრულა MD პროგრამა 6 წელიწადში.</p> <p>საბაზისო 2019-2020: 50%</p> <p>სამიზნე 2023-24: 70%</p> <p>სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>მრიცხველი: ქართველი სტუდენტების რაო-ბა, რომელმაც მიმდინარე წელს დაასრულა MD პროგრამა. მნიშვნელი: ქართველი სტუდენტების კოჰორტა, რომელიც ჩაირიცხა MD პროგრამაზე 6 წლის წინ.</p>
	SI	<p>თსა-ს საერთაშორისო სტუდენტების %, რომელმაც წარმატებით დაასრულა MD პროგრამა 6 წელიწადში.</p> <p>საბაზისო 2019-2020: 85%</p> <p>სამიზნე 2023-24: 85%</p> <p>სამიზნე 2027-28: &gt;85%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>მრიცხველი: უცხოელი სტუდენტების რაო-ბა, რომელმაც მიმდინარე წელს დაასრულა MD პროგრამა. მნიშვნელი: უცხოელი სტუდენტების კოჰორტა, რომელიც ჩაირიცხა MD პროგრამაზე 6 წლის წინ.</p>
<p><b>3.3. თსა-ში ჩარიცხული სტუდენტების 1-ელ კურსზე სწავლების მიტოვების მაჩვენებლის &lt;10%-ზე შენარჩუნება / ახალ სტუდენტთა ჩარიცხვის ნაკადი წელიწადში საშუალოდ 10%-თ გაიზრდება</b></p>	KPI	<p>თსა-ში ჩარიცხულ სტუდენტთა 1-ელ კურსზე სწავლების მიტოვების %</p> <p>საბაზისო 2019-2020: 10%</p> <p>სამიზნე 2023-24 : 9</p> <p>სამიზნე 2027-28: &lt;9%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები.</p> <p>მრიცხველი: სტუდენტთა რაო-ბა რომელთაც პირველ კურსზე მიატოვეს სწავლება</p> <p>მნიშვნელი: შესაბამის აკადემიურ წელს სულ პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაო-ბა</p>

<p>3.4. 2028 წლისთვის          თსა-ს          კურსდამთავრებულთა          &gt; 75% სწავლის          დასრულებიდან 4          წელიწადში          დასაქმებულია          ჯანდაცვის          ინდუსტრიაში,          სამეცნიერო კვლევებში          ან აგრძელებს სწავლას          შემდგომი აკადემიური          ხარისხის          მოსაპოვებლად.</p>	<p>KPI</p>	<p>ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების %, რომელიც MD პროგრამის დასრულებიდან 4 წელიწადში დასაქმებულია ჯანდაცვის ინდუსტრიაში, სამეცნიერო კვლევებში ან აგრძელებს სწავლას შემდგომი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად          საბაზისო 2019-2020: 69,5%          სამიზნე 2023-24: 70%          სამიზნე 2027-28: &gt;75%</p>	<p>თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემები. მრიცხველი: სტუდენტების რაო-ბა, რომელიც სწავლის დასრულებიდან 4 წელიწადში დასაქმებულია ჯანდაცვის ინდუსტრიაში, სამეცნიერო კვლევებში ან აგრძელებს სწავლას. მნიშვნელი: სტუდენტების რაო-ბა, რომელმაც MD პროგრამა დაამთავრა 4 წლის წინ.</p>
